განკარგულება:**g-135. 135241802**
თარიღი:**28/06/2024**

ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში არსებული, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტისა და საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის №746 განკარგულებით გამოყოფილი კაპიტალური გრანტით დასაფინანსებელი, ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების შესაბამისად, ასევე მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 ივნისის მომართვის საფუძველზე,

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. მოწონებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში არსებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) წინადადება.
2. განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტით დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.
3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროექტების მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსება განხორციელდეს მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით და განისაზღვროს პროექტების ჯამური ღირებულების ფარგლებში 97 807 (ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას რვას შვიდი) ლარის ოდენობით.
4. ნება დაერთოს მერს, ეს განკარგულება და ამ განკარგულებით მოწონებული წინადადება წარადგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.
5. წინამდებარე განკარგულება:
ა) მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას;
ბ) განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გ) განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ზუგდიდი გრ.ქობალიას ქ №12ᵃ)

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი